ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის სხდომის
ოქმი N5

დაბა ქედა

27 აგვისტო, 2026 წელი

სხდომა დაიწყო 14:30 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 14:45 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა მერაბ ნაკაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
მერაბ ტაკიძე - კომისიის წევრი;
არკადი საკანდელიძე - კომისიის წევრი;
მურად დიასამიძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა:
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის მ.შ - ნესტან ბერიძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ნანა ბერიძე;

მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის მ.შ - გივი დევაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

27.08.2026 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
3	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
4	არკადი საკანდელიძე	კომისიის წევრი	
5	მურად დიასამიძე	კომისიის წევრი	
6	მერაბ ტაკიძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის-წესრიგი:

1. **„ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის მ/შ: გივი დევაძე

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2026 წლის 17 აგვისტოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად შემოვიდა (განცხადების ნომერი:12-95262292-95; განცხადების თარიღი: 17.08.2026) „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტი“.

მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გივი დევაძემ განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია - თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებული, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელი ცხემნაში, მე-2 ქუჩის I - შესახვევის №5-ში მდებარე 736.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N21.03.33.764) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის (2026 წლის 11 აგვისტოს №3543/02 წერილი) მოთხოვნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის სარგებლობაში გადაცემის მიზნით შუალედური სასაწყობე ბაზის მოსაწყობად.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს განხილულ იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ ხსდომაზე „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტი“.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 14:45 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე მერაბ ნაკაშიძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის
უფროსი სპეციალისტი
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში ნანა ბერიძე